



~~Handwritten text, possibly a signature or title, crossed out with a red line.~~

Handwritten text in a cursive script, likely a letter or document. The text is written in a dark ink on aged paper. The lines are somewhat irregular and closely spaced. The text appears to be a personal communication or a formal document, but the specific words are difficult to decipher due to the cursive style and fading.

(Chicago 1875 N 3  
5 out)



*P. S. ...*

# ქართული

სამხარეულო და საოჯახო სამეურნეო სა-  
ცადნი ცნობანი

(დამატებით ზოგიერთთა რუსულთა საჭმელთა.)

შედგენილი

კნ. ბარბარე ჯორჯაძისაგან.

3730



ტფილისი

ექვთიმე ხელაძის სტამბა

1874

Тифлисъ, типографія Е. Хеладзе. 1874 г.

Дозволено цензурою, Тифлиси, 10 Февраля 1874 года.

## წინა სიტყვაობა.

ამ დროას ცვლილებას, გლახთა რეფორმას და დღევანდელს ჩუქს მდგომარეობას რომ უყურებ, საქიროთა ვხედავდი სამხარეულოს წიგნის შედგენას, რადგანაც არ მეგულოვება ქართულს ენაზე ამგვარი წიგნი.—იქნება ისანი არ ჰსაჭიროებდნენ ამ გვარს წიგნს, რომელნიც მხარეულებით დარუსულის სამხარეულოს წიგნებით უზრუნველნი არიან, მაგრამ, ვისაც შეძლება არა აქვს, რომ დაიჭიროს ქირით, კარგი მხარეული და არც იცის რუსული, რომ იმ ენაზედ დაწერილის წიგნებიდან მაინც შესძლოს გააკეთებინოს საქმელები, მაშინ იმას შეუძლიან ამ წიგნით ისარგებლოს.—ესეც უნდა დაესძინო რომ, შეძლებაც რომ გქონდეთ, ხანდის-ხან ისე გაძნელება ხოლმე ხეირიანი მხარეულის შოვნა, რომელიც, ან თქუქს გემოვნებაზედ ვერ გააკეთებს საქმელს დაან სრულებით წინააღმდეგს თქუქსის სურვილისას.—რადგან, თითქმის, ყოველს ქალს ვალათ აძევს ოჯახის მზრუნველობა, ამისათვის ეს წიგნი მზა არის, იყოს სახელმძღვანელოთ სამხარეულოში, უნამეტნავესათ საქართველოში არსებულთა საქმელთა გაკეთებისათვის და სხვა საოჯახო სამეურნეო ნაც დათა ცნობათ სარგებლობისათვის, ესე იგი: მასალების შენახვისა, ღვინის დაყენებისა, არყის გამოხდისა, ძაფების შეღებისა, საპნის მოხარშვისა, მურაბებისა და მწნილებისა გაკეთებისა და სხვათა, და სხვათა, რომელნიც მიუცილებელნი საჭირონი არიან, უნამეტნავ-

ნავესათ სოფელში და ეს თუ ასეა, ამისათვის აქვე და-  
ვსძინე რაოდენიმე ევროპიული სახელ-და-ხელო  
საჭმელებიც.—ყოველს შემთხვევაში, თუ ამ შრომით,  
მცირედსაც არის სარგებლობას მოუტან ჩემთა მემამუ-  
ლეთა, მე ვიქმნები დაჯილდოვებული მით; ხოლო ამ  
შრომას, თუ რაღმე ნაკლულევანება შეამჩნდეს, ვიმე-  
დოვნებ, საზოგადოება შემინიშნავს და გამამხნეებს  
დარიგებითაც, რათა შემდეგში გამოვსცე უფრო  
სრული და უკილო სამზარეულო და საოჯახო სამე-  
ურნეო წიგნი.—



# წინიანი საჭმელები.

## 1. ბოზბაში.

მოიღეთ, ოთხი გირვანქა ხორცი, ცხვრისა, გინა ბატენისა, ახლ ახლთ დასჭერით, ცივს წყალში კარგათ გარეცხეთ, ქვაბში ჩაყარეთ, გირვანქის მეოთხედი ღუმს თან ჩაატანეთ, ზედი იმოდენი წყალი დასხვით, რომ ერთი ხელის დადება წყალი ედგეს ზეიდგან ხორცსა; როდესაც წამოდუღდეს, ქაფი მოჭხადეთ, ოთხი პირი რომ გადმოიდუღოს, და ქაფი აღარა ჭქონდეს, აიღეთ და სხვა ჭურჭელში გადაწურეთ, ხორციც გადააჩრჩივით და რაც ძირში ლექი ჭქონდეს გადუღვარეთ, შემდეგ ისევე შემოდგით ცეცხლზედ და შიგ ქვაბში ჩაყარეთ ერთი ჯამი დაჭრილი ხახვი და ერთი სტოლის კოვზიც წმინდათ დასაუილი ბრინჯი, მეგრე ღუმს ამოიღეთ გააცივით, წმინდათ დაკეპეთ და ისიც შიგვე ჩაყარეთ; ხორცი რომ კარგათ მოიხარშოს, ხადილის მიწთმეკამდის ნუ შეანელებთ, მხოლოდ ქვაბი შორიასლო დადგით თბილათა, — ხადილის მიწთმეკის დროს ხამი კვერცხი გათქვიფეთ და იმ გაკრილებულს ბოზბაში ჩაუშვით და ამ დროს თქვენს გემოსედა შესავით მარლით, მასთან ნახევარ მისხალი ქართული ზაფრანა მისხავე წვენი გასხვით და შიგ ჩაუშვით, ბოლოს გააცხელეთ და დასხმის დროს ერთი სტაქანი წმინდათ დაჭრილი ქინძი და ტარხუნა შიგ ჩაყარეთ და მსათ იქნება. — თუ ბოზბაში მყავით გნებავდეთ, იმ შემთხვევაში მოიღეთ ტყემალი, ცალკე მოხარშეთ, გასწურეთ და რა ერთიც სიმყავე თქვენს გემოვნებაზედ გხურდეთ, იმოდენი სიმყავე მიეცით, — მოტანის დროს შეიძლება ტყემლის მაგივრათ ისძაროთ: ისრამი, ჭკრამი, კოწასურნი და ბროწოული, რომელიც გემოვნებულათ.



მაგრამ უკვლახედ უკეთესი სიმყავე ჯ უწეინარი, არის  
გოწახური ჯ ისრისი, ანუ ნაშარბი, რომლის გაკეთება  
ქვემოთ აგვიწერია.

ამის მასალათ მიეცით:

ოთხი გირვანქა ხორცი,  
გირვანქის ძეოთხედი ღუმა,  
ათი თავი ხახვი, ანუ გირვანქა ხახვი  
ერთი სტოლის გოგრა დანაყილა ბრინჯი  
ხამი კვერცხი,  
ხახვიარ მისხალი ქართული ზაფხანა,  
ერთი გონის ძეოთხედი ტარხუნა,  
ხუთი ძირი ქინძი,  
ერთი სტოლის გოგრა მარლი,  
ერთი თინჯანი გამწურული გოწახური,  
ანუ ხხვა რამ მყავე.

ეს არის ექვსი კაციის ულუფა.

## 2. ბოსბაში გუფოთი.

მოიღეთ ხუთი გირვანქა ხორცი ცხვირისა, გინს  
ბატონისა, დასტურით წერილათ ჯ რაც ძეღიანი ნაჭერი  
იყოს ცალკე აიღეთ ჯ რაც რბილი ნაჭრები გამორჩეს  
ცალკე, აქედან აიღეთ გირვანქა ხახვიარ ხორცი, ძლიან  
წმინდათ დაკეპეთ ჯ ის ძეღიანი ხორცი, გარკესეთ, ჩაყ-  
რეთ ქვაბში, სეჲ იმოდენი წყალი დაახსით რომ ერთი  
ხელის დადებს მეტი წყალი ედგეს ზეიდან; როდესაც  
ქათვი მოხადოთ როგორც ზემოთა სწერია, გადაწურეთ  
ხხვა ჭურჭელში, ხორცი გადაარჩივით, ლექი გადუღვა-  
რეთ ჯ ისევე ცხცხლზედ დადგით, ერთი გირვანქა დაჭრი-  
ლი ხახვი შიგ ჩაყარეთ, ხარშეთ, მანამდის ხორცი მო-  
ხარშება. გუფთაც ასე დაუმზადეთ: ხორცს რომ დაჭკე-  
პათ, ხახვიარ გირვანქა ხახვი თან დააკეპეთ ძლიან წმინ-

დათა, ხაძი გათქვეფილი კვერცხი შიგ აურევით, ერთი  
 სტოლის კოვზი წმინდათ დანაყილი ბრინჯი მოაყარეთ,  
 გარდა ამისა მოიღეთ: ერთი სტოლის კოვზი ძარილი,  
 ოთხი ან ხუთი მარცვალი, დანაყილი პილპილი, ათს  
 ილს რაც გული ქქონდეს ის დაუნაყეთ, ერთი ჩაის  
 კოვზი დანაყილი დარიჩინი & ქენი, ყოველივე, შიგ  
 აურევით, შემდეგ აიღეთ, აქედან, თითო სიგვზის კაკლის  
 ოდენი, ასე შესავებელი სორცი, დააგრგვალეთ გუფთე-  
 ბათ, & დანაყილ ბრინჯში გააგორ-გამოაგორეთ & ხა-  
 წეთ ქვებში, მეტე იმ მოხარშული სორციდამ გადმო-  
 წურეთ წვენი & გუფთას ზედ დასხით, ამოდენი, რა-  
 დენიც დაჭვანკავს, დადგით & მოხარშეთ, რომესაც  
 სორციც მოხარშოს & გუფთაც, მაშინ ერთათ მოაქცივეთ.  
 შემდეგ გასხენით ხასკვარ მისხალი ზაფრანა მისხავე  
 წვერში & შიგ ხაუშვით & ერთი სტაქანი ტარხუნა &  
 ქისძი, წმინდად დაჭრილი, შიგ ხაყარეთ, ძარილით შეს-  
 ზავეთ & მზათ იქსება; დუმა ვი ყოველთვის ბოზბაძს  
 უნდა დაუკებოთ & მიხცეთ. ამასთან, თუ გენებებათ,  
 ძუავეც უყავთ, რომორც ბოზბაძისთვის დაგვიწერია.

ამის მასალათ მიეცით:

- ხუთი გირვანქა სორცი,
- ხასვი გირვანქა ხასკვარი, ანუ ჯამ-ნასკვარი,
- დუმა გირვანქის მეოთხედი,
- ხაძი კვერცხი,
- ოთხი სტოლის კოვზი დანაყილი ბრინჯი,
- ერთი სტოლის კოვზი ძარილი,
- ხუთი მარცვალი დანაყილი პილპილი,
- ათი ილი,
- ერთი ჩაის კოვზი დანაყილი დარიჩინი,
- ხასკვარ მისხალი ქართული ზაფრანა,
- ერთი კონის მეოთხედი ტარხუნა,

ხუთი ძირი ქინძი,  
შეკვეც თუ გენგბოთ მიეცით, ერთი ფინჯანი გამოწურული.  
ეს არის ექვსი კაციხ ულუფა

### 3. ცხვარი, ანუ თხა კომძით.

მოდეთ რთხი გირვანქა სორცი ახლ-ახლთ დასჭე-  
რით, კარგათ ჯარეცხეთ და ჩაყარეთ ქვასში, წყალი ერთი  
ხელის დადებამდე მეტი დაახსით, როცა წამოდუღდეს  
ქათვი მოხადეთ და მანამ სორცი მოიხარშება მოიღეთ,  
თუ დიდრინი კომძები არის ექვსი, თუ წვრილი კომძი  
არის თორმეტი, დასჭერით სიგრძეზედ, თხლათ,  
გულს ნუ შეყოლებთ და გაფუჭება კი არ უნდა; ამასთან-  
საკე ხსხვი დათლილი ერთი გირვანქა, ანუ ერთი ჯამი  
ჩაყარეთ ცალკე ტაფაში, ზედ დაახსით ერთი სტაქანი  
ერბო და მოხრავეთ, როდესაც ეუოს, ის დათლილი კომ-  
შიც შიგ ჩაყარეთ და მოშუშეთ, შემდგომ იმ მოხარშული  
სორციდამ წვენი გადმოწურეთ და იმოდენი დაახსით ტა-  
ფაში; რაც იმ კომძს მოხარშავს; როდესაც ეს კომძი  
კარგათ მოხარშოს, მასში შიგ ჩაყარეთ რძე სტო-  
ლის კოვზი დაფუჭული შაქარი და თუ სორციც მზათ  
არის, მასში ის წვენიც და სორციც კომძში აურიკეთ,  
წვენი თხლათ არ უნდა იუოს, მეჩმე შეასაკეთ მარლით  
და ჩაყარეთ ერთი ჩაის კოვზი დანაყილი დაჩინინი, ათი  
ილის გული დანაყილი და ნახევარ სტაქანი წმინდათ  
დაჭრილი ქინძი მოაყარეთ და მზათ იქნება.

ცხვარი ანუ თხა თუ ბებური არის და წვენი დააკლ-  
და ხარშავს, ქვებით უნდა ცხელი წყალი გადგეთ და  
იქიდან დაუმატებდეთ ხოლმე, მანამ შეატყოთ რომ  
სორცს ხარშვა გადგე უნდოდეს.

ამის მასალათ მიეცით;

რთხი გირვანქა სორცი,

ექვსი დიდი კომში, ანუ პატარისა თორმეტი,  
ხასვი ერთი გირვანქა, ან ერთი ჯამი დაჭრილი,  
ნახევარი გირვანქა, ერბო, ანუ ერთი სტაქანი,  
ორი სტოლის გოვზი დაფქული შაქარი!  
ერთი ჩაის გოვზი დაფქული დარჩინი,  
ათი ილი,

ხუთი ძირი ქინძი,

ერთი სტოლის გოვზი მარლი,

ეს არის ექვსი კაცი უფუფა.

#### 4. ბოხართმა ცხურისა, ბაკტნისა, გინა თხისა.

მთლით ოთხი გირვანქა ხორცი, წვრილ-წვრილ  
ნაჭრათ დასჭერით და კარგათ გარეცხეთ, თავის შესაფერ  
ქვაბში ჩაყარეთ და წყალი იმოდენა დაასხით, რომ ხორცს  
ზემოთ ედგეს, როცა წამოდუღდეს—ქათვი მოჭხადეთ;  
ხორცი რომ მოიხარშოს, წვენი ცალკე გადაწურეთ და  
გირვანქა ნახევარი ალყათ დაჭრილი ხასვი ცალკე ტაფაში  
ჩაყარეთ, ზედ დაასხით ნახევარი გირვანქა ერბო და მოხ-  
რაკეთ ისე, რომ ხასვი დაწითლდეს, მეტე ის მოხარშუ-  
ლი ხორციც შიგ ჩაყარეთ და ერთათ მოხრაკეთ მანამ  
კარგათ დაწითლდეს; თუ ხორცი მსუქანი არის ერბო  
ნაკლები მიუცით; მეტე ის გადაწურული წვენი ზედ  
დაასხით, შესავაკეთ მარლით და ნახევარ სტაქანი წმინ-  
დათ დაჭრილი ქინძი და ხუთი მარცვალ-დანაყილი პილ-  
პილი ზედ მოაყარეთ.

მასალათ მიეცით

ოთხი გირვანქა ხორცი,

გირვანქა ნახევარი ხასვი,

ერთი სტაქანი ერბო,

ხუთი ძირი ქინძი,

ხუთი მარცვალ-პილპილი,

ეს არის ექვსი კაცი უფუფა.

### 5. ძროხის ხორცი თათარიანხეთ:

ძოიღეთ ოთხი გირვანქა ძროხის ხორცი, ასო-ასოთ დასჭერით, კარგათ გარეცხეთ & ჩაყარეთ თავის შესაფერს ქვანში ზედ დაასხით იმოდენი წყალი, რომ ერთი სელის დადება მეტი. ზედ ედგეს, წამოდულებასი ქაფი მოხადეთ, წვენი გადაწურეთ & ხორცი გადაარჩიკეთ, ისევე ცეცხლზედ დადგით & როდესაც კარგათ მოიხარშოს, ერთი სტაქანი წმინდათ დაჭრილი ნიასური ჩაყარეთ, ძარილით შეაზავეთ & მზათ იქნება.

თუ კინიტობაა ძროხა, ბებური იუოს & წვენი დაიშროს, ქვანით ცხელი წყალი უნდა გედგეთ & ხარშვასივე დაუძტოთ.

მასალათ მიეცით:

ოთხი გირვანქა ხორცი,  
 ხამი ძირი ნიასური,  
 ერთი სტოლის კოვზი ძარილი,  
 ეს არის ექვსი კაციის ულუფა.

### 6. ძროხის ხორცი რუსული ბადრიჯნით \*)

ძოიღეთ ოთხი გირვანქა ხორცი, ასო-ასოთ დასჭერით, თავის შესაფერს ქვანში ჩაყარეთ, კარგათ გარეცხილი & ზედ, როგორც ზემოთა სწერია, წყალი იმოდენი დაასხით, ქაფი მოხადეთ & ჩაყარეთ: ხუთი თავი დაუჭრელი ხახვი, ორი ძირი ნიასური & ორი ძირი ოსრახუში, როდესაც მოიხარშოს, გადაწურეთ სხვა ჭურჭელში, ხორცი გადაარჩიკეთ & ლექი გადუღვარეთ, შემდეგ ოცი რუსული ბადრიჯანი შუა-შუა, უასჭერით, ცალკე მოხარშეთ, საცერში გაწურეთ & ხორციან აურით, შემდეგ ხამი კეპრცნი გათქვიფეთ & შიგ ჩაუშვით, ისევე შემოდგით ცეცხლზედ

\*) ზომდაძევი.

თან კოვსით მოუწივეთ ღ თან აღუდეთ, მერმე ერთი ძი-  
რი ოხრახუში წმინდათ დასტერით და ოთხი ძარცვალი  
დანაყილი პილპილი, რვა ძარცვალი ბაჭარი \*) ჩაყარეთ.

მასალათ მიეცით:

ოთხი გირვანქა ხორცი,  
ერთი გირვანქა ხახვი, ანუ ხუთი თავი,  
ოცი თავი პომიდამური,  
ორი ძირი ნიახური,  
ხამი ძირი ოხრახუში  
ოთხი ძარცვალი პილპილი,  
რვა ძარცვალი ბაჭარი, ანუ ხამი,  
ეს არის ექვსი კაცი ულუფა.

## 7. ძროხის ხორცი ხარშოთ.

მოიღე ოთხი გირვანქა ხორცი, დასტერით ძალიან  
წვრილათ, გარგათ გარეცხეთ ღ ჩაყარეთ თავის შესაფერს  
ქვაბში, ზედ დაასხით იმოდენი წყალი, რომ ერთი ხელის  
დადებსა მეტი წყალი ედგას ხორცს ზემოთა, წამოდუღე-  
ბაში ქათვი მოხადეთ ღ გადაწურეთ ხვა ჭურჭელში, ლექი  
გადუღვარეთ ღ ხორცი გადაარჩივეთ, ისეკ დადგით ღ ხა-  
რშეთ, შიგ ჩაყარეთ ერთი გირვანქა დაჭრილი ხახვი, ხა-  
ხევარ სტაქანი წმინდათ დანაყილი ბრინჯი, ერთი ხელის  
ტოლი ტყემლის ტულაპი. გარეცხეთ, წვრილათ დახივეთ  
ღ იმ ხორცში ჩაყარეთ, ანუ მოხარშულა ტყემალი მიე-  
ცით ნახევარ თინჯასა, მასთან ათი ძარცვალი პილპილი,  
წმინდათ დანაყილი, ღ შვიდი თოთოლი დაფნისა, შიგ  
ჩაყარეთ, ნახევარ სტაქანიც წმინდათ დაჭრილი ნიახური  
ღ ოხრახუში, მარილით შეახლეთ ღ მზათ იქნება.

\*) ანგლისკის ჰერცი.

მასალათ მიეცით:

ოთხი გირვანქა ხორცი,  
 ერთი გირვანქა ხახვი,  
 ნახევარ სტაქანი დანაყიღრ ბრინჯი,  
 ხელის ტოლი ტყემლის მყავკე,  
 ათი მარცვალა ვიღვილი,  
 ორი ძირი ნიასურნი,  
 ორი ძირი ოხრახუში,  
 ერთი სტოლის გოკონი მარლი,  
 ეს არის ექვსი კაციის ულუფა.

**8. ძროხის ხორცი ბურღულით.**

მოიღე ოთხი გირვანქა ძროხის ხორცი, დასჭერით ზ  
 ჩაყარეთ ქვაბში, როდესაც მოქაფოთ, მაშინ ერთი სტა-  
 ქანი ბურღული შიგ ჩაყარეთ, როდესაც ისე მოიხარშოს  
 რომ სულ ჩაიშალოს, მაშინ მარლით შეახელოთ, ხარშ-  
 ვაში; თუ წვენი დაიშროს, ადუღებული წყალი დაუმატეთ;  
 წვენი ისე უნდა ედგეს, როგორათაც სუშსა.

მასალათ მიეცით

ოთხი გირვანქა ხორცი,  
 ერთი სტაქანი ბურღული,  
 ერთი გოკონი მარლი,  
 ეს არის ექვსი კაციის ულუფა.

**9. არტალა ძროხისა,**

მოიღე ძროხის არტალა, ესე იგი კანჭები ძროხი-  
 სა, აგრეთვე ცურნი ზ ბურტი, აადუღეთ წყალი, დასჭერით  
 ხორცი ზ კარგათ გარეცხილნი ჩაყარეთ თავის შესაფერხ  
 ქვაბში, დაახსით იმ ადუღებული წყალი ზ იმოდენი ხარ-  
 შეთ, რომ იმ ძარღვებიანი ხორცი სულ შიგ ჩაიხარშოს  
 ზ წვენი გასქედდეს, შემდგომ დანაყეთ ნიორი გაფცქნი-

ღი ჭ წაერთიც თქუწნს გემოვნებაზედ გენებოთ, იმოდენი  
ნიორი უყავით, ძარლით შეანელეთ ჭ მზათ იქნება.

მასალათ მიეცით

ძროხის კანჭები,  
ერთი ცურვი ჭ ჰურტი,  
ოთხი კბილი ნიორი,  
ერთი სტოლის კოვზი ძარლით,  
ეს არის ექვსი კაცი ულუფა.

**10.** ხაში ძროხისა, გინა ცხვრისა.

ძროხის, ანუ ცხვრის ფაშვი ჭ ნაწლეები კარგათ  
გარეცხეთ, მერმე მწვეტიანი ხხირით ის ნაწლეები გა-  
დააბრუნეთ, რომ შიგ ჩირქიანი არა დარჩეს, ამასთან-  
სავე ძროხის, ან ცხვრის ფესები გააკეთეთ წმინდათ.—  
როდესაც კარგათ გარეცხეთ, ადუღეთ წყალი ჭ შიგ ჩა-  
ყარეთ, გააღაღღაღეთ ჭ ამოიღეთ, დაფსიკეთ, შემდგომ  
წვრილათ დასტურით ფაშუ, ნაწლავ, ფესებს გარდა; როდეს-  
საც დაამზადოთ თეთრათა ჭ სუფთათ, მაშინ ჩაწყთ  
თავის შესაფერს, დიდს ქვაბში ჭ ზედ წყალი, ბლოძათ,  
რომ ქვაბი გაიმოსოს, შემოდგით ცეცხლზედ ჭ რომ ადუ-  
ღდეს, ქათვი მოხადეთ, როდესაც ისე მოხარშოს, რომ  
ფესები სულ ჩაიშალოს ჭ წვენი გასქედდეს, მაშინ შეა-  
ტყობთ რომ ეყო ხაშს მოხარშვა.—ხვალ რომ ხაში გნე-  
ბამდეთ დღესვე უნდა დაამზადოთ, შემოდგათ, ხარშოთ  
ღ მეორეს დღეს იქნება, მზათა. მაშინ ძარლით შე-  
ზავეთ თქუწნს გემოვნებ ჭ ვისაც გნებავთ წმინდათ და-  
ნაყილი ნიორიც მიეცით, წაერთიც გაიმებოდესთ.

მასალათ მიეცით:

წაჭ ერთს ძროხას, ან ცხვარს ფაშვი, ნაწლეები ჭ  
ფესები აქვს,



ათხიკბილი ნიორი:

ერთი სტოლის კოკზი მარლი,  
ეს არის ექვსი კაცის ულუფა.

## 11. ღორის ხორცის ყალიბა.

მოიღეთ ათხი გირვანქა ღორის ხორცი, ახლ-ახლთ დასტერით, ქათვი მოხადეთ & როდესაც ხორცი მოიხარშოს. ამოიღეთ, შემდეგ მსუქანი წმინდათ გაწურეთ, მოიღეთ ხელის ტოლი ტყემლის ტყლაპი & წვრილათ დახივეთ გარეცხეთ & იმ წვეთში ჩაყარეთ, აადუღეთ & ის ტყლაპი ამოტყლიტეთ, მუჩმე გამოვსება ნახეთ, თუ ძალიან მუყავა კიდევ წვენი დაუმატეთ, თუ საკმაოთა აქვს სიმყავე & მასინ ხუთი კვკრცხი გათქვიფეთ & იმ გარეცხებულს წვეთში ჩაუშვით, მოურიგეთ & ხელ-ახლათ ხელ მოარეგეთ აადუღეთ; შემდეგ მარლით შეაზაკეთ & იუ გრეხვით ღორის ხორციც შიგ წვეთში ჩააწეთ, თუ გრეხვით & ხორცი ცალკე მიართვით & წვენი ცალკე.

მაალათ მიეცით:

ათხი გირვანქა ღორის ხორცი,  
ერთი ხელის ტოლი ტყემლის ტყლაპი,  
ხუთი კვკრცხი,  
ერთი კოკზი მარლი,  
ეს არის ექვსი კაცის ულუფა.

## 12. ჩიხითმა ბატონისა

მოიღეთ ათხი გირვანქა ბატონის ხორცი, ახლ-ახლთ დასტერით & კარგათ გარეცხეთ, შემდეგამ თავისავე შეხაფურს ქვანში ჩაყარეთ, ზედ იმოდენი წყალი დაახსით, რაც ხორცს დაჭოვარავს; წამოღულებში ქათვი მოხადეთ & რომ მოიხარშოს გადმოღვით, წვენი ცალკე გადაწურეთ; ჯამ-ნახევარი ალუათ დაჭრილი ხახვი, ჩაყარეთ

ტაფაში, ზედ დასხით ერთი სტაქანი კრბო ჭ იხე  
 მოხრაკეთ რომ ხახვი ჩაითუთქოს, ან დაწითლოთვი,  
 შემდგომ ერთი სტოლის კოვზი ძარილი ჩაყარეთ ჭ ის  
 ბატონის ხორციც შიგ. ჩაყარეთ ჭ მოშუშეთ, მერმე დას-  
 ხით ის გადაწურული თავისი წვენი, რომდესაც ორი ჰირი  
 გადმოიდგოლოს, მაშინ გადმოდგით ჭ გააცივეთ მოიღეთ  
 ექვსი კვერცხი გათქვიფეთ ჭ იმ კვერცხს ზედ დასხით ხახ-  
 ვარი სტაქანი ძმარი, ანუ ნაძარაბი, ანუ ისრინი, კოწახურ. ხ  
 წვენი, ან ლიმონის წვენი, ამთგანი ერთ ერთი სიმყავე  
 მიეცით ჭ იმ ხორცს თან მოურივით, თან ეს კვერცხი  
 ჭ მყავე არეული დასხით, ხელ-ახლათ შედგით ისევ  
 ტეცლზედ ჭ მოურივით ხის კოვზით; მანამდის ადულ-  
 დუოდეს, რეჟა ან დაყენათ თორემ აიჭრება, რომ  
 ადულდეს გადმოდგით ჭ მოყარეთ ერთი სტაქანი ჰიტნა  
 ჭ ქინძი წმინდათ დაჭრილი, ნახევარ მიხსალი ზათურანა  
 დამხალი გუდგეთ ჭ იმ დროს მიეცით, ძარილით შეაზა-  
 ვეთ ჭ მზათ იქნება.

მასალათ მიეცით:

ოთხი გირვანქა ხორცი,

ორი გირვანქა ხახვი

ნახევარ სტაქანი ძმარი, ანუ ხხვა რომ სიმყავე,

ექვსი კვერცხი.

ნახევარ კონა ჰიტნა,

ნახევარ კონა ქინძი,

ნახევარ მიხსალი ზათურანა,

ერთი კოვზი ძარილი,

ეს არის ექვსი კაცის ულუფა.

**13.** ჩისითმა, ბატონა, ინდოურისა, გინა ქათმისა,

აუ მოურიველთაგანი, რომლისაც გაკეთება გენებოთ,  
 ანა ასეთ დასტურით, კარგათ გაბტყენილი ჭ გარეცხი  
 ღი, ჩაყარეთ თავის შესაფერხ ქვაბში, წყალს იმოდენი

დაასხიოთ, რომ ხორცს ზემოთ ცოტა მეტი ედგის, წამოდულებში ქათვი მოხადეთ და როდესაც მოინახშოს წვენი ცალკე გადაწურეთ, მოიღეთ ჯამ ნახევარი დაჭრილი ხახვი ერთს სტაქანს ერბოში მოხრავთ ძალიან კი არ დაწითლოთ და კარგათვი უნდა ჩაითუთქოს, მეძმე ჩაყარეთ ძარილი და ის დაჭრილი ბატი, ანუ სხვა რომ ფრინველთაგანი ჩაყარეთ და მოშუშეთ, მეძმე ის გადაწურული წვენი ზედ დაასხიოთ და ადუღეთ, შემდგომ გადმოიღეთ და გაცივეთ, მაშინ ექვსი კვერცხი გათქვიფეთ და ზედ კვერცხს დაასხიოთ ნახევარ სტაქანი ძმარი ანუ სხვა სიმუყავე რომელიც გენებოთ და იმ გაგრილებულს ბატში ჩაუშვიოთ და თან მოურივეთ, დადგით და ისევ ხელმეორეთ ადუღეთ და თან ხის კოვზით ურივეთ; მორევა არ დაყენოთ თორემ აიჭრება, ან კვერცხი ცხელში არ ჩაუშოთ რომ ადუღდეს გადმოდგით ძარილით შეასავეთ და მოაყარეთ ნახევარ სტაქანი წმინდათ დაჭრილი ქინძი და პიტნა, აგრეთვე თუ გქონდეთ ტარხუნა (ორში ერთერთი) აგრეთვე მიეცით ნახევარ მისხალი ზაფრანა და მზათ იქნება.

ვარის ჩიხითმაც ასევე უნდა, მხოლოდ ვარისკი მოხარშვა აღარ უნდა. — გაბტყენილს დასჭრით ასო ასოთ გარეცხავთ და ხახვს რომ მოხრავათ, შემდეგ ვარისსაც მოხრავათ და ზედ იმოდენს წყალს დაასხამთ რაც იმას ეყოფა და ისევ იმ ნაირათვე შეასავებთ.

მასხალათ მიეცით:

ბატი, ანუ ინდოური, ქათამი, ანუ ვარიუბი ერთ ერთთაგანი, ერთი სტაქანი გამდნარი ერბო ანუ ნახევარ გირკანქა,

ორი გირკანქა ხახვი,

ექვსი კვერცხი,

ნახევარ მისხალი ქართული ზაფრანა,

ერთი კონის ნახევარი პიტნა,

ნახევარი კონა ტარხუნა, ანუ ქინძი.

ნახევარ სტაქანი ნაშაწაბი, ანუ ძმარ.  
 ერთი სტოლის გოგზი ძარდი,  
 ეს არის ექვსი კაციის უფუფა.

**14.** ბატი შინდის ჩუჩხით.

მოიღეთ კარგათ გაბტყენილი ბატი, გამოშიგნეთ & გა-  
 რეცხეთ, დასტყერით ასო-ასოთ, ჩაყარეთ თავის შესათუერს  
 ქვებში, ზედ დაასხით იმოდენი წყალი, რომ ერთი ხე-  
 ლის დადებს მომეტეებული ზედ ედგებს, ქათვი რომ მოხა-  
 დოთ, შიგ ჩაყარეთ ერთი ჯამი აფუათ დაჭრილი ხახვი,  
 ხამი შირი რომ გადმოიდუღოს, მერმე ნახევარ ჯამი ში-  
 ნდის ჩუჩხა გარეცხეთ & იმ ბატს ჩაყარეთ, რომდესაც  
 შეკლას, ერთათ, ხაკმაოთ მოისაწმოს, ძარდიით შეაზა-  
 კეთ & მზათ იქნება.

მასალათ მიეცით:

ბატი,  
 ნახევარ ჯამი შინდის ჩუჩხა  
 ერთი ჯამი დაჭრილი ხახვი  
 ერთი გოგზი ძარდი,  
 ეს არის ექვსი კაციის უფუფა.

**15.** ბატი, ინდოური, გინა ქათამი ხარშით.

მოიღეთ ბატი, გინა ხვას ამათგანი,  
 ასო-ასოთ დასტყერით, გარეცხეთ & თავის შესათუერს ქვ-  
 ეში ჩაყარეთ, წყალი იმოდენი დაასხით, რომ სორც ზედ  
 მეტი ედგებს, წამოდუღებაში ქათვი მოხადეთ, მასინ ჩაყ-  
 რეთ ერთი ჯამი დაჭრილი ხახვი, & ნახევარ სტაქანი და-  
 ხაყილი ბრინჯი; მასთან მოიღეთ ერთი ხელის ტოლი  
 შინდის ტყლაპი, წერილათ დახიეთ & შიგ ჩაყარეთ, თუ  
 შინდის ტყლაპი არ იყოს, ტყელის ტყლაპი მიეცით.

როდესაც მოინახშოს, ნასევარ სტაქანი დაჭრილი ქინძი  
მოაყარეთ, მარადით შეაზავეთ & მზათ იქნება.

მასალათ მიეცით:

ერთი ბატი, გინა ქათამი,  
გირკანქა ნასევარი ხახვი,  
ნასევარ სტაქანი დაჭრილი ქინძი,  
ნასევარ სტაქანი დახაყილი ბრინჯი,  
ერთი ხელის ტოლი შინდის ტყლაპი,  
ერთი კოვზი მარლი.  
ეს არის ექვსი კაციის ულუფა.

16 თავის წენით ბატი, ინდოური, გინა ქათამი,

ამ ფრინველთგანი თუ რომელიმე ძრვიელ მხუქანი  
არის, როდესაც გაბტყვანათ & გამოშინგნათ, კარგათ გა-  
რეცხეთ, ხადეთ ისე დაუჭრელი ქვაბში & სუდ იმოდენი წყალი  
დაასხით, რომდენიც დაჭტარავს, შემდეგ წამოდულებში  
ქაფი მოხადეთ & როდესაც კარგათ მოინახშოს, ბლუ-  
დსუდ, ამოიღეთ. სამი კვერცხი, მრგვლათ წყალში მო-  
ხარშეთ, გულები გამოაცალეთ & იმ წვესში ჯერ ერთი  
ჟამი დაჭრილი ხახვი ჩაყარეთ & კარგათ მოხარშეთ,  
შემდეგ ის სამი კვერცხი გატეხეთ, გულები გამოიღეთ,  
გასხენით იმის წვესში & შიგვე ჩაუშვით; გაცხელეთ &  
თუ გენებებათ დასჭერით, წვესში ჩააწყეთ & ისე მიარ-  
ავით, თუ არა & ქათამი ისე მთლათ მიიტანეთ & წვენი  
ცალკე მარლით შეაზავეთ & მზათ იქნება.

მასალათ მიეცით:

ბატი, ინდოური, ანუ ქათამი,  
ერთი გირკანქა ხახვი,  
სამი კვერცხი,  
ერთი კოვზი მარლი,

17 ბოზართმა ინდოურისა, ბატისა, გინა ქათმისა,

მოიღე გაბტყენილი & გამოშვიგნული ამ ფრინველ-  
ბოთკანი, კარგათ გარეცხილი, ჩადე თავის შესაფერს ქვა-  
ბში წყალი იმოდენი დასხი, რომდენიც დაჭტყარავს,  
წამოდუღებაში ქათვი მოხადე & რომდესაც მოინარშოს,  
წვენი გადასწურეთ & ქათამი ასო-ასოთ დასტყერიო.  
ერთი ჯამი ალყათ დაჭრილი ხასვი ჩაყარეთ ტაფაში &  
ზედ დასხიოთ ერთი მომცრო სტაქანი ერბო & მანამ  
ხასვი დაწითლდებოდეს, მანამ სულ სწაკეთ & ურით  
გოვზით, რომდესაც ხასვი მოინარშავს, ასლა ის დაჭრი-  
ლი ქათამი ჩაყარეთ & მოშუშეთ ერთათ, შემდეგ ის გა-  
დაწურული მახვივ წვენი ზედ დასხიოთ & ადუღეთ.—თუ  
მსუქანი არის, ერბო ნაკლები მიეცით, თუ გამხდარი  
არის & რომდენც ზეითა ვჭსთქვით იმოდენიერბო მიეცით,  
შემდეგ შეასაკეთ მარილით, ზედ მოაყარეთ ნახევარ  
სტაქანი წმინდათ დაჭრილი ქინძი & მზათ იქნება.

მასალათ მიეცით:

ბატვი, ანუ ინდოური, ანუ ქათამი,  
ათი თავი ხასვი,  
ერთი მომცრო სტაქანი ერბო,  
სუთი ძირი ქინძი,  
ერთი გოვზი მარილი.

## 18. ხარშო ინდოურისა, გინა ქათმისა,

გაველევილი & გამოშვიგნული ქათამი გარეცხეთ, ჩადეთ  
თავის შესაფერს ქვაბში & ზედ რომდენიც დაჭტყარავს,  
წყალი დასხიოთ, წამოდუღებაში ქათვი მოხადეთ & რომ-  
დესაც მოინარშოს ამოდეთ, წვენში ერთი ჯამი დაჭ-  
რილი ხასვი ჩაყარეთ & კარგათ მოხარშეთ, რომდესაც  
ხასვი მოინარშოს, ქათამი დასტყერიო & მიგვე ჩაწყეთ,  
თუ მსუქანი არის, ერბო არ უნდა & თუ გამხდარია  
ერბო მიეცით ერთი სტოლის გოვზი, შემდეგ ოთხი

კვერცხი გათქვიფეთ ჭ შიგ ჩაასხით ცხელ-ცხელშივე, მარლით შეასაკეთო ჭ მზათ იქნება.

მასალათ მიეცით:

ქათამი, ანუ ინდოური,  
ათხი კვერცხი,  
ერთი გირვანქა ხახვი,  
ერთი კოვზი მარლი,

### 19 წენიანი ქათამი გურულათ,

მ ს უ ქ ა ნ ი ქათამი გაბტყენილი ჭ გამრშიგნული ახლახლათ დასტყერით ჭ გარეცხეთ, ორი სტოლის კოვზი წმინდათ დანაყილი ნიგოზი, ათი მარცვალ მიხაკი, ჭ ათი მარცვალ დანაყილი პილპილი, ერთი ჩაის კოვზი დანაყილი დარიჩინი, ერთი სტაქანი წმინდათ დატყრილი ოხრახუში, ქინძი, ქონდარი, ჭ ერთ სტაქანიც დატყრილი ხახვი მზათ იქონიე, მოიღვოთ მისი შესატყერი ქოთანისუ ქათამი თითო პირი ჩააწყეთ ჭ თან ეს დამზადებული მასალა მოაყარეთ, ავრეთვე ერთი ჩაის კოვზი მარლი, შემდეგ მოასხით ჩახევარ სტაქანი ცხარი ძმარი; ზედ დაასხით იმოდენი წყალი, რამოდენიც დატყარავს, შემდეგ პირი კარგათ დახურეთ, სული არ ამოქრეს ჭ ისე მოხარშეთ, ორჯერათ ვი მოურჩიეთ.

მასალათ მიეცით

ქათამი,  
ორი სტოლის კოვზი დანაყილი ნიგოზი,  
ერთი მარცვალ მიხაკი,  
ათი მარცვალ პილპილი,  
ერთი ჩაის კოვზი დანაყილი დარიჩინი,  
სუთი თავი ხახვი,  
ათხი ძირი ოხრახუში,  
ათხი ძირი ქინძი,

ათხი ძირი ქონდარი,  
ნახევარ სტაქანი ძმარი,  
ძარილი.

## 20. არისა ხორცისა, გინა ინდოურისა,

ინდოური, ანუ ცხვრის ხორცი გაკეთებულა ჭ გარე-  
ცხილი, დასტერით წვრილათ.—მზათ უნდა იქონიოთ  
ხორბალი, ამ რიგათ გაკეთებულა.—ხორბალი უნდა დას-  
რჩიოთ, დანამოთ ჭ თელიში თაღთაქვით ჩაჩეჩოთ, ისე  
რომ იმ ზურის ძარცვალს თერფლი სულ გადაცალოთ,  
რომ ბრინჯივით უთერფლო დაჩქეს, გადაბერტყოდ  
ხოლძე ჭ ის ხორბალი გქონდეთ გამხმარი შენახული თ  
როდესაც არისა გენებოს ნახევარ ლიტრა ხორცზედ  
ორი ჯამი ხორბალი, ქათვს რომ ხორცს მოხდი, მასინ  
შიგ ჩაყრით, აგრეთვე ერთს ჯამს დაჭრილს ხახვსაც მა-  
შინ ჩაყრით; წყალიგი იმოდენი უნდა დასხათ, რომ  
ხორცი ჭ ხორბალი ისე უნდა ჩაიშალოს; რომ სულ  
გაერთდეს, შემდეგ ძელები უნდა ამოაჩხიოთ, ხორცი  
აღარ უნდა სხედეს; წყალი ცხლათ უნდა გედგეთ ჭ  
მიუმატოთ ხოლძე.—არისა რომ გნებამდეთ ხვალისათჳს,  
დღესვე უნდა დაიწყოთ ხარშვა, როდესაც კარგათ მოი-  
ხარშოს და გაერთდეს წვენი აღარ უნდა ედგეს, მერძე  
წმინდათ ხახვი დასტერით ერთი ჯამი ანუ ერთი გირ-  
ვანქა და ერთს სტაქანს ერბოში მოხრაკეთ, როდესაც  
არისას კერძებზედ დასხამთ, იმ ერბოსა და ხახვს ცოტ-  
ცოტას შუაგულას ჩაასხამთ და როგორც თაფლს,  
ისე ერბოში აურეთ და მიირთმევთ.—არისას გადმოღების  
დროს შეაყავებთ ძარილით.

მასაღათ მიეცით:

ერთი ინდოური, ანუ ნახევარ ლიტრა ხორცი,  
ათხი სტაქანი ხორბალი, უთერფლო,



ერთი სტაქანი ერბო,  
ერთი გირვანქა სასვი,  
ერთი სტოლის კოვზი მარლით,

## 21. შილათლაფი ცხურისა, ანუ ქათმისა.

ნასევარ ლიტრა ხორცი ახლ-ახლთ დასტყვით, გარეცხეთ & თავისავე შესაფერს ქვაბში ჩაყარეთ, წყალი იშოდენი დაახსით, რომ ერთი ციდა მეტი ედგეს ზედა, წამოდულებასში ქათვი რომ მოხადლოთ, გირვანქა ნასევარი დარჩეული ბრინჯი ჩაყარეთ, კარგათ გარეცხილი, აგრეთვე ერთი გირვანქა დაჭრილი სასვი & ხუთ ერთათ სარშვთ რომ გასქედდეს მეტე შესაყვეთ მარლითა & პილპილით, აგრეთვე დანაყილი შინა მიეცით & მსათ იქნება.

მასალათ მიეცით:

ნასევარ ლიტრა ხორცი,  
გირვანქა ნასევარი ბრინჯი,  
ერთი გირვანქა სასვი,  
ათი მარცვალი პილპილი,  
ერთი ჩაის კოვზი შინა,  
ერთი სტოლის კოვზი მარლით.

## 22. ფაურმა ღორისა, ანუ ცხურისა.

ოთხი გირვანქა ხორცი, წვრილათ დასტყვით, მეტე თავის შესაფერს ტაფაში ჩაყარეთ, ერთი სტაქანი წყალი დაახსით & თან უჩიეთ ხრავასში; როდესაც წყალი დაიშროს, ერთი ჯამი ალყათ დაჭრილი სასვი ჩაყარეთ & ისე მოხრავეთ, თუ ხორცი მსუქანი აჩის, ერბო არ უნდა & თუ გამხდარია, ერთი კოვზი ერბო დაახსით & მოხრავეთ, რომ ხუთ დაწითლდეს, მეტე მარლით შესაყვეთ, ხუთი მარცვალი დანაყილი პილპილი მოაყარეთ & მსათ იქნება.

მასალათ მიეცით:

ოთხი გიგანქა ღორის ხორცი, ანუ ცხვრისა.  
 ერთი ჯამი დაჭრილი ხახვი,  
 ერთი სტოლის კოვზი ერბო,  
 ხუთი მარცვალა პილპილი,  
 ერთი კოვზი მარილი,

### 23. მოხრაკული ქათამი გურულათ.

ქათამი გაბტყენილი ჯ გარეცხილი ახლ-ახლი  
 დასჭერით, ჩააწყეთ ქოთანში, თან ჩაატანეთ ექვსი მარცვა-  
 ლი დანაყილი მისაკი, ათი მარცვალა დანაყილი პილპილი,  
 ერთი ჩაის კოვზი დანაყილი დარიჩინი, ერთი ცერცვის  
 ტოლი დანაყილი ყვითელი კოჭა, ერთი ჩაის კოვზი  
 მარილი, ერთი სტოლის კოვზი დანაყილი ნიგოზი, ორი  
 თავი წმინდათ დაჭრილი ხახვი, ორი ძირი ქინძი, ორი  
 ძირი ოხრასუში, ნახევარ ფინჯანი ძმარი; ეს მასალა  
 სულ ჩააწყეთ ჯ ნელ ცეცხლზედ დაადგით ქოთანზე, ხან-  
 დის-ხან ძოჟრით და პირს კარგათ დაათვარეთ სული არ  
 ამოქქრეს, ისე მოხრაკეთ, წვენს თითონ გაუშვებ, რომ  
 შეატყეთ ეუო, გადმოდგით.

მასალათ მიეცით:

ქათამი,  
 ექვსი მარცვალა მისაკი,  
 ათი მარცვალა პილპილი,  
 ერთი ჩაის კოვზი დანაყილი დარიჩინი,  
 ერთი ცერცვის ტოლი ყვითელი კოჭა,  
 ერთი ჩაის კოვზი მარილი,  
 ერთი სტოლის კოვზი დანაყილი ნიგოზი,  
 ორი თავი ხახვი,  
 ორი ძირი ქინძი,  
 ორი ძირი ოხრასუში,

ნახევარ ფინჯანი ძმარი.

## 21. ტოლმა ცხვრისა, გინა ბატკნისა.

მოიღეთ ორი გირვანქა ხორცი, ძალიან წმინდათ დაკეპეთ, გირვანქა ნახევარი ხასვი თან დააკეპეთ, მეტყე მრავალეთ ათი მარცვალე დანაყილი პილპილი და ნახევარი ჩაის კოვზი დანაყილი ზიწა, ერთი ჩაის კოვზი მარლილი, ერთი სტოლის კოვზი დანაყილი ბრინჯი, მეტყე გათქვიფეთ ოთხი კვერცხი და სულ ერთათ აურიკეთ; შემდეგ მოიღეთ ვაზის წვრილი და ჩვილი ფოთლები, მღუღარე წყალში ჩაყარეთ და მალევე ამოიღეთ და დააწყეთ რაზედმე, რომ გაცივდეს, მეტყე გუფთასხავით კაკლის ტოლი ეს დამზადებული ხორცი აიღეთ და შესხვიეთ ერთს ფოთოლში და ჩადეთ ქვებში, ახლა კიდევ მანამ სულ ასე დაამზადებთ, შემდეგ დაასხით, როდენიაც დაჭრეს წყალი და ხარშეთ, როდესაც ნახეთ, რომ გუფთა მოხარშულა, მაშინ წვენი სულ გადაწურეთ და ზედ დაასხით ერთი სტაქანი ერბო და ისე გაშუშეთ, არ ჩამალეთ კი, შემდეგ ამოიღეთ და ბლუდზედ დააღატეთ, მაშინ მზათ უნდა გქონდეთ საღებუტკში გაწურული მარონი და იმ დროს ას მარონი ცოტას წყალში უნდა გასხნათ მოსქოთ და ზედ უნდა მოასხნათ ბლუდზედ იმ გუფთასა, აგრეთვე უნდა მზათა გქონდეთ ერთი მიხსალი დამბალი ზაფრანა გამოწურეთ და ბამბით ზედ დააწყეთოთ, იმ მარონს, მეტყე ორი სტოლის კოვზი წმინდათ დანაყილი დარჩინი და ოთხი სტოლის კოვზი დანაყილი შაქარი, ერთათ აურიეთ, მრავალეთ და იხე მიაერთეთ.

მასალათ მიეცით:

ორი გირვანქა ხორცი,  
 გირვანქა ნახევარ ხასვი,

ათი მარცვალნი ზილვილი,  
 ნასევარ ჩაის კოვზი ზირა,  
 ერთი ჩაის კოვზი მარლი,  
 ერთი სტოლის კოვზი დანაყილი ბრინჯი,  
 ოთხი კვერცხი,  
 ერთი სტაქანი ერბო,  
 ერთი ქოთანნი მწონი,  
 ერთი მისხალი ზაფრანა,  
 ორი სტოლის კოვზი დანაყილი დარჩინი,  
 ოთხი სტოლის კოვზი დანაყილი შაქარი,  
 ვაზის ჩვილი ფოთლები საკმაოთ.

## 25. კომბოსტოს გუფთა.

კომბოსტოს გუფთაც ასევე უნდა გააკეთოთ, მხოლოდ მწონი, დარჩინი, შაქარი და ზაფრანა კი არ უნდა. იმას ისევე ამ რიგათ გააკეთებთ კომბოსტოს ფოთოლში შესვეთ და ისე ერბოიანათ დასხსამთ ბლუდზედ რაფა მოხარშავთ.

მასალათ მიეცით:

კომბოსტოს ფოთოლი საკმაოთ და ისევე ის, რაც ტოლმასა, შაქარსა, დარჩინსა და ზაფრანას გარდა.

## ცივი საჭმელები ხორცეულისა.

### 26. ცივათ ბატკანი.

ბატკანის ხორცი ასო-ასოთ დასჭერით კარგათ გარეცხეთ; შეძვევ აადუღეთ მარლით შეზავებული წყალი და შიგ ჩაყარეთ, რომ წამოდუღდეს—ქაფი მოხადეთ და როდესაც მოხარშვა შეატყუოთ ამოიღეთ ბლუდზედ, გააცივეთ და შუათ იქნება.

მასალათ მიეცით:

ბატენის ხორცი, ჩაოდენიც გენებოთ  
მარლი მისი სამყოფი,

27. ხბოც ასევე უნდა მოიხარშოს.

28. გოჭიც ასევე უნდა. თან დაფხეკილი ხრე-  
ნი მიართვით და ძმარიც, ვისაც ენებება.

29. თიკანიც ასე მოხარშეთ და როდესაც ამოი-  
ლოთ წმინდათ დაჭრილი ქინძი მოაყარეთ.

30. ხაშლამა ძროხისა, როცა ასევე მოხარ-  
შავთ, ნუ გააცივებთ, ცხლათ მიართვით,

31. ღორის ხორცი ასევე უნდა მოიხარშოთ; მი-  
ტანის ღროს თან მიართვით მძალე და ძმარი,  
ანუ გარციცა, რომელიც გენებებოდეთ.

### 32. ძროხის ბეჭი ცივათ.

ძროხის ბეჭი გარკვევით საგნატელს ან მოსჭრათ,  
თავის შესაფუძს ქვამში მარლით შესაფუძელი წყალი  
აადუღეთ და ბეჭი იხე ჩადეთ, ქათვს რომ მონდით, შემ-  
დგომ მალ-მალე ნახეთ, რომ მოიხარშოს, არც უმი იყოს  
და არც სხვა ხორცივით ძალიან მოხარშული, მაშინ სუფე-  
რად ცხლათ მიიტანეთ. ბეჭს უნდა შეუმზადოთ ტყემ-  
ლის საწებელი ამ რიგათ: ახალ ტყემალს დაასხით წყა-  
ლი, ჩაოდენიც დაჭუფარავს და მოხარშეთ, მეტე ბა-  
დაიხე დაასხით რომ გაცივდეს, წყალი თუ ბეჭი ედგეს  
გადუწურეთ და საკმაო წყალში გამოტყეფივით, ხენხო-  
ბი და გურკა ამოაჩიეთ და ის ტყემლის წვენი მოსქლოთ  
უნდა იყოს, მეტე წმინდათ ერთი თავი ხახვი დაატყერით,  
გურკათვე ერთი ფოჩი ოხრახუში, მარლი ჩააყარეთ, ერთი  
ხაის გოჭი და ჩაოდენსაც ბეჭი მიართვათ, ეს საწებიც  
თან მიადუღეთ, ვისაც ნებას გარციცას მაგივრათ მიირთ-  
მევს და თუ სამთარი არის, მაშინ, ჩადვან ახალი ტყემ-  
ალი ან იქნება, სამთარის სანახებთ უნდა შეუნახოთ

როგორც მასალების შენახვაში დამიწერია ჭ თუ ხაწები  
არა გქონდეთ ტყემლის ტყლასი მოხარშეთ ამ რიგათ ჭ  
ეს შეასაკეთ ისე ისე ჭ თუ ძალიან მუკვეთ გნებადეთ  
ძმარინც დაუმატეთ ტყლასის ამოჭყლეტაში.

მასალათ მიეცით:

ერთი მთელი ბეჭი,  
ერთი თავი ხახვი,  
ტყემალი, ანუ ტყლასი,  
ძარილი,

### 33. ქათამი, ანუ ინდაური ხახვ-წყალით.

ქათამი, გინა ინდაური კარგათ გაპტყენილი ჭ გა-  
მოშიგნული გარეცხეთ ჭ ჩადეთ თავის შესაფერხ ქვაბში,  
წამოდულებასი ქათვი მოხადეთ ჭ როდესაც მოინარშობს,  
ამოიღეთ, დასჭერით ჭ ერთი მათლასა წვენი მოსწვნი-  
ვით, იმაში წმინდათ დაჭრილი ხახვი ჩაყარეთ ჭ ზედ  
დაახსით ქათამს, ანუ ცალკე მიადებნეთ ქათამსა.

### 34. ბატი ცივათ.

ბატი ისევე ისე უნდა მოხარშეთ, როგორც ქათამი  
ღ ზედ დაახსით მუკვე ბროწეული გამოწურული.

მასალათ მიეცით:

ბატი,  
ერთი მუკვე ბროწეული,  
ძარილი,

### 35. ქათამი გატენილი ქიშმიშითა ჭ ზირიშკით.

კარგი მსუქანი დედალი მოხარშეთ ძარილ წყალში,  
მერმე ხახვარ გირვანქა ზირიშკი ჭ ერთი გირვანქა  
ქიშმიში, დაარჩივით, გარეცხეთ ჩაყარეთ ქვაბში ჭ დაახ-  
სით ხახვარ გირვანქა ერბო ჭ ამ ერბოში მოშუშეთ

შეკმე დაახსნით კარგი თათული ღ თუ კარგი თათული არ იყოს, ერთი სტაქანი დაფქული შაქარი, რომდესაც კარგათ მოიშუშოს, იმ ქიშიშითა და ზირიშკით გაუტენეთ მუცელი მოხარშულს ქათამსა და თუნდა დასტკერით ის ქათამი და ეს მასალა შედ მოაყარეთ.

მასალათ მიეცით:

მსუქანი ქათამი,  
ნახევარ გირვანქა ზირიშკი,  
ერთი გირვანქა ქიშიში  
ნახევარი გირვანქა ერბო,  
ნახევარი გირვანქა თათული, ანუ ერთი სტაქანი  
დაფქული შაქარი,  
მარილი,

### შემწვრები.

#### 36. ხბო შემწვარი.

კარგათ გამოშიგნული ხბო გარეცხეთ ღ გულღვიძლი წმინდათ დაუკვებთ, შიგვე მურგელში ჩაუდეთ ღ გაუკვრეთ მუცელი, ისე ააგეთ შამფურზედ ღ ნელს ნაკვერხსაღზედ თან დაატრიალეთ ღ თან მარილ-წყალი წაუსვით, ხულ ტრიალით შეწვით, რომ წვენი არ დაეღვაროს ღ თუ გამსდარი არის, ფრთით ერბო წაუსვით შეწვასია მარილ წყალი რომ დაუთაოთ შეძვეც.

მასალათ მიეცით:

ხბო, გულღვიძლით,  
ორი სტოლის კოვზი ერბო,  
მარილი,

37. ბატკანიც ამ რიგათვე უნდა შეწოთ.

38. ლორის ბარკალი, ანუ ცხერისა, ამრიგათვე უნდა შეიწოს მარილ წყლით.

39. ხოხობი, ინდოური, ქათამი, ანუ იხვი შემწვარი და ჩახოხბილი,

ხოხობი გაბტყენილი და გამოშვიგნული კარგათ გარეცხეთ, ააგეთ შამიფურსედ და ნაკვერჩხალზედ ატრიალეთ შამიფურით და თან ფრთით მარლ წყალი წაუსვით, როდესაც მარლი საკმაოთ წაუსოთ, შემდეგ ფრთით გაძნარე ერბო წაუსვით, მანამ კარგათ დაწითლდეს; მეორე ხაში გირვანქა ხასვი, ანუ ორი ჯამი ალუათ დაჭრილი ხასვი, ჩაყარეთ ტაფაში, ხასვეარ გირვანქა ერბო დაახსით და ერთი ჩაის კოვზი მარლი ჩაყარეთ, ისე მოხრაკეთ მანამ ხასვი დაწითლდეს, შემდეგ ზედ დაახსით ორი სტაქანი წყალი, რომ წამოდუდდეს, ის ხოხობი ასო-ასოთ დახტეოთ და იმ ხასვში ჩაწყეთ, თუ გენებებათ მუკით, ზედ დაახსით ხასვეარი სტაქანი ნაშარაბი, ანუ კოწახური, ან ძმარი და მზათ იქნება.

მასალათ მიეცით:

ხოხობი, ანუ ამ ფრინველთაგანი ერთ-ერთი, ხაში გირვანქა ხასვი, ხასვეარ გირვანქა ერბო, ანუ სტაქან ხასვეარი, ხასვეარ სტაქანი ნაშარაბი, ანუ იხრიმი, ან ძმარი. ერთი სტოლის კოვზი მარლი.

40. კურდღელიც ამ რიგათ უნდა შეიწოს და ჩაიხოხბოს, შეწვაში წკეპლაკი უნდა დაჰკრათ ხოლმე.

41. ბატი ანუ იხვი შემწვარი შინდის ჩურჩით.

ბატი, ან იხვი შეწვით, როგორც ზემოთა ვსწერია, ხვავა შემწვრები და შემდეგ ერთი ჯამი შინდის ჩურჩა კარგათ გარეცხილი ჩაყარეთ ცხელს წყალში, რომ დაღებეს, მანამდის თქვენ მოხრაკეთ ერთი ჯამი დაჭრილი ხასვი ერთ სტაქან ერბოში, როდესაც ხასვი ჩაითუთქოს შემდეგ ის ჩურჩაც შიგ ჩაყარეთ და კარგათ მოშუშეთ.



მეძმე დაასხით ერთი სტაქანი წყალი, როდესაც წამო-  
დუღდეს, შეძღვ დასტერით ის ბატი, ახლ-ახლთ და ეს  
მოხრატული ჩურჩა ზედ მოაყარეთ, ანუ ბატიც იმ ჩურ-  
ჩაში შიგ ჩადეთ.

მასალათ მიეცით:

ბატი, ანუ ისვი,  
ერთი სტაქანი ერბო,  
ორი გირვანჯა ხახვი,  
ერთი ჯამი შვინდის ჩურჩა,  
ერთი სტოლის გოვზი მარინჯი.

42. შემწვარი კურდღელი, ჩაჩიხირთმავებული.

კურდღელი გატყავებული ღ გამომიგნულს გატყესკით ღ  
ააგეთ შამფურზედ, დაუდეთ ნაკვეჩისაღზედ, ატრიაღეთ  
შამფურით ღ წაუსვით მარჩლ წყალი, თან წკებლით დაჭ-  
კარით, მანამდის შეიწოდეს; მარჩლწყალი რომ აღან  
იყოს საჭირათ, შეძღვ ფრთით ერბო წაუსვით მანამ  
დაწითლდეს. წკებლით იმისთვის უნდა სტემოთ რომ გა-  
ფუკდება, შეძღვ გენებებათ ჩახლსხავთ და გენებება ამ  
რიგათ ჩაჩიხირთმავებთ: ექსი კვერცხი გათქვიფეთ, ზედ  
დაასხით სამი სტაქანი ძმარი და ერთი სტაქანი წყალი,  
დასტერით სამი თავი ხახვი და ძმარში ჩაყარეთ თან  
გოვზი მოურჩივეთ და თან აადუღეთ, რომ კვერცხი ზრ  
აიჭრას, მეძმე დაჭრილ კურდღელს ზეთ მოასხით; თუ  
გენებებათ ორ სამ დღეს შეინახება ამ ძმარშია.

მასალათ მიეცით:

კურდღელი,  
ექსი კვერცხი,  
ორი სტოლის გოვზი ერბო,  
სამი თავი ხახვი,

ხამი სტაქანი ძმარი,  
ერთი სტოლის კოვნი ძმარილი.

43. ინდოური, ბატი და ქათამი საცრევთ,  
როგორც ზემოთა ჭსწერია ინდოურის შეწვა, ისე შექსწო-  
მთ, ძმარსა და კვერცხში, როგორც კურდღელს ისე ჩაა-  
ჩინებთ მავებთ, ჩაწყობთ და ერთს კვირამდის ავარკებს  
ასე შენახული რომ გამოიზოგოთ.

მასალათ მიეცი.

ინდოური, ანუ სხვა რომ ფრინველთაგანი,  
ხამი სტაქანი ძმარი,

კვერცხი, კვერცხი,  
ხამი თაფი სახვი,

ერთი სტოლის კოვნი ერბო,  
ძმარილი.

44. ვარეების ტაბაკა, ანუ მტრედისა,

ვარია რომ გაუკლიფოთ და გამოშიგნოთ, გარეცხეთ და  
გააპეთ მკერდიდამ შუა, ერთმანერთ კი არ მოაშოროთ:  
იმის მოაყარეთ ძმარილი, რომ სტოლის კოვნი ერბო გა-  
ცხელეთ ტაფაში, ჩადეთ შიგ ვარია და ზედ დაადეთ  
თხელი სუფთა ქვა, ანუ თიხის ლამბაქი, ცალი მხარე  
რომ მოხრაკოთ, გადაახრუნეთ მეორეს მხარეს და მზათ  
იქნება.

მასალათ მიეცი.

ვარია. გინა მტრედი,

რომ სტოლის კოვნი ერბო,  
ძმარილი,

45 მწერების შეწვა.

მწერები წმინდათ გაბტყვენით, გამოშიგნეთ და ააგეთ  
შაშფურსედ, მოაყარეთ ძმარილი და ცუცხლთან გააფინეთ,

როდესაც გაცხელდეს, წმინდა ფქვილი მოაყარეთ და თან წყნარ-წყნარად ატრიალეთ და აყარეთ ფქვილი, მანამ მწვერი ფქვილში სულ ამოიგინგლებას; რომ შეწითლდეს— ეგოფა შეწვა.

მასალათ მიეცით:

მწერები.

ფქვილი და მარილი.

46. მტრედის გუნდიც ამ გვართ უნდა შეწოთ როგორც მწერები.

47. ცხვრის გულღვიძლი დაკეპილი და მოხრა-კული.

მოიღე ცხვრის გულღვიძლი და ფილტვი, გარეცხეთ, წმინდათ დაკეპეთ, და თან შეაკეპეთ ორი გირვანქა ხახვი, ათი მარცვალნი დანაყილი პილპილი და ერთი კოვზი მარილიც მოაყარეთ, შემდეგ შვიდი კვერცხი გათქეიფეთ და ის დაკეპილი გულ-ღვიძლი შიგ კარგათ აურიკეთ, მერმე გაცხელეთ ცაფით ხახვარი გირვანქა ერბო და ის დაკეპილი გულღვიძლი შიგ ჩახსხით და მოწვით; ცალი მხარე რომ მოიწოს, მორებს მხარესაც გადააბრუნეთ და ისე მოწვით.

მასალათ მიეცით;

ცხვრის გულღვიძლი და ფილტვი.

ორი გირვანქა ხახვი,

ათი მარცვალნი პილპილი

შვიდი კვერცხი,

ხახვარი გირვანქა ერბო,

ცოცა მარილი.

### 48. აფხაზური

მოიღეთ ცხვრის ჩაღაღაჯი ასეუ ბატკინისა, მერმე დასტერით სიგძეხედ, თითო გვერდი, ზომიერ ჩაჭრათ, ბოლოს მხრიდან ჩასუღიზვთ ხორცი, ისე, რომ არ მოა-

შორეთ ვი იმ ძვალსა, დაკეპეთ ჭ ყველა ასე დაამზადეთ, მეძე ერთი გირვანქა სორცი ცალკე დაუკეპეთ ჭ იძას ერთი გირვანქა ხასვიც თან შეაკეპეთ, მარილი ჭ შილშილი მოაყარეთ, შემდეგ სამს გათქვიფილს გვერცხში აურიეთ ჭ ცოტას აიღებდეთ ჭ იმ გვერდსზედ შემოასვედეთ ჭ წმინდათ დახაყილს სუხარს მოაყრიდეთ, მანამ სულ თითო-თითოთ ასე დაამზადებთ, შემდეგ ორს სტოლის გოგზს ერბოს გააცხელებთ, ტაფაში ჩააწყობთ ჭ მოსწომით ორსავე გვერდსზედ.

მასალათ მიეცით:

ცხვრის ჩაღაღავი ორი გირვანქა,  
ერთი გირვანქა რბილი სორცი,  
ერთი გირვანქა ხასვი,  
ათი მარცვალი შილშილი,  
სამი გვერცხი,  
ოთხი სუხარი,  
ხასვეარი სტაქანი ერბო,  
ერთი სტოლის გოგზი მარილი,  
ეს არის ექვსი კაციის ულუფა.

### 49) ქაბაბი.

მოიღეთ ორი გირვანქა რბილი სორცი, წმინდათ დაკეპეთ ჭ ერთი ჯაბი დაჭრილი ხასვი თან შეაკეპეთ, თუ ძვავით გნებამთ, ერთი სტაქანი ჩუჩჩა გარეცხეთ ჭ დაკეპაძივე აურივეთ, ათი მარცვალი დახაყილი შილშილი ჭ ერთი ჩაის გოგზი მარილი ზედ მოაყარეთ, შემდეგ სამი გვერცხი გათქვიფეთ ჭ ჩოდესაც წმინდათ დაკეპთ, შიგ აურივეთ, ერთი სუხარი დახაყეთ და აურიეთ, შემდეგ აიღეთ შატარ-შატარა დაკეპილი სორცი დასით ჭ გაათხელებთ, მოაყარეთ გარედამ წმინდათ დახაყილი სუხარი ჭ ჩოდესაც სულ ასე დაამზადეთ, დასხით ტაფა-

ზედ ორი სტოლის კოკნი ერბო, გააცხელო და ჩააწყო  
ქაბაბი შივა, ცალი მხარე რომ მოიწოს, მეორეს მხარეს  
გადააბრუნეთ, მასამ სულ ასე დამზადებთ, შემდეგ ერბო  
გადაწურეთ, ისე რომ ნახრავი არ შექუევს, ორი სტაქანი  
წყალი დაასხით, აადუღეთ და ის მოძწვარი ქაბაბი შიგვე  
ჩააწყო, გააცხელო და ისე მიართვით.

მასალათ მიეცით:

ორი გირვანქა სორტი,  
ერთი ჯაბი დაჭრილი ხახვი,  
ერთი სტაქანი ჩურჩხა,  
ათი მარცვალე ზილპილი,  
ერთი კოკნი მარილი,  
ხაბი კვერცხი,  
ერთი ჩეთვერთი ერბო,  
ხაბი სუსარი.

(ამ მასალით გაკეთდება თხუთმეტი ქაბაბი).

## 50. ლულა ქაბაბი.

როგორც ქაბაბისათვის, ასევე უნდა მოამზადოთ  
წმინდათ დაკეპილი და შესაკებული სორტი, შემდეგ შამ-  
ფური გააცხელოთ, აიღოთ მუჭაში სორტი და შამფურს  
როგორც ძწვადი, ისე შემოახვიოთ და შეხწოთ.

## მწვადების შეწვა.

51 სუკი ძროხისა, ანუ რისაც გენებოთ.

სუკი შამფურსედ გრძელათ უნდა ააგოთ, ზედ მოა-  
ყარეთ ერთი ჩაის კოკნი მარილი, სუკის ხიდივეს გაჩხიას  
ამარილის მოყრა, შემდეგ ხელს საკვერცხალსედ ისე  
ტრიალით უნდა შეწოთ, რომ წვენი არ დაქვარავს, ძ-  
ლიან კი არ დაწოთ მტვრიანსი უნდა მიართოთ.

## 52. ღორის მწვაღები.

როგორც სუკი, ასევე უნდა შეწოთ: გულჯვიძლი გენებოთ, თუ გვერდები ჭ ერთი სტაქანი ალყათ დაჭრილი ხახვი მოაყაროთ, როდესაც დასჭერთ.

## 53 ქართული ბადრიჯანით მწვაღი.

მოიღეთ ქართული ბადრიჯანი, დანით ისე გააპუთეთელი, რომ ერთმანერთს არ მოაშოროთ, იმას მოუშინადეთ ცხვრის მსუქანი ხორცი, ასე თხის ხორცი, იმ ცოლათ დასჭერით, რომ იმ გაპობილს ბადრიჯანში ჩადოთ ჭ თან მოაყაროთ მარილი და პილპილი არეული, თანვე შამფურზედ ააგოთ რამდენიც გენებოთ, შემდეგ ნელს ნაკვერხსაღზედ სულ ტრიალით შეწვიოთ ჭ მთელ-მთელი წაძრეთ და ისე მიართვიოთ.— გენებებათ ჭ ბადრიჯანი მრგულათ დასჭერით, ერთი ბადრიჯანი სამათ ჭ ისე ააგეთ, ერთი ხორცი, ერთი ბადრიჯანი, მანამ შამფურს სულ ასე გააძსებდეთ, მერმე მოაყარეთ მარილი ჭ პილპილი ერთათ არეული ჭ ისე შეწვიოთ.

## 54. მწვაღი ჩახოხბილი.

ჩიხაც გენებოთ მწვაღი ჩახოხბილი, შემდეგ შეწვისა, როგორც ხოხობს, ერბოში ხახვი მოუხრაკეთ ჭ მარი სტაქანი წყალი დაახსით, ამასაც ისე უნდა, როდესაც წამოდუდდეს, მწვაღი შიგ ჩახჭერით ჭ თუ გენებოთ მყავეც დაახსით.

მასალათ მიეცით:

- გირვანქა ხორცი,
- სამი თავი ხახვი,
- ერთი სტოლის კოვზი ერბო,
- ნახევარ ფინჯანი ძხარი,

მარლი,

55. ბასტურმა ირმისა, მშელოსა, გინა ძროხისა  
და სხვისა.

ხორცი ძრავლათ, ჰატარ-ჰატარათ დასტურით ზედ  
მოაყარეთ მარლი და შილშილი, თავის შეზავებით აგრე-  
თვე მოაყარეთ წმინდათ დაჭრილი ხახვი, კარგათ აურიეთ  
ერთმანერთში და ჩადეთ ბადიაში, ანუ ქილაში, როდესაც  
გენებრთ ააგეთ შამიურზედ და შეწვიეთ. შეუწვავი ხორ-  
ცი ასე მომზადებული სამი დღეც გასძლებს: მასხლის მი-  
ცემას გაახნია, ხორცის სიბერესა და სიცოტავესა.

56. ქულამაც, როგორც ზემოთა სწერია ბასტურმა  
ასე უნდა დაამზადოთ, მხოლოდ მომეტებული აქვს ძმა-  
რი, ქილაში ჩაზღებთ, ზედ ძმარს დასხსამთ, როდესაც  
გენებრთ ამოიღებთ და შესწომთ.—ერთი კვირა გასძ-  
ლებს სამთარში, ასე შენახული ხორცი.

### სხუა და სხუა მწვანეულობა,

57. ახალი ლობიო ერბო კვერცხით, გინა ნიგვზით.

მოიღე ახალი ლობიო, ორი გირვანქა, თავისა და  
ბოლოს კვარციანათ ჰწვავი გააშრეთ, ლობიო სამათ,  
ან ოთხათ გატესეთ ასე დაარჩივით, შემდეგ გარეცხეთ  
ცივს წყალში და ჩაყარეთ თავის შესაფერს ქვასში, ზედ  
დასხსით იმოდენი წყალი, რაც ლობიოს დაჭუფარავს, რო-  
დესაც წამოდუღდეს სამი თავი ხახვი დასტურით და ჩა-  
ყარეთ, აგრეთვე ორი ძირი რეჭანი, ორი ძირი ქონდა-  
რი და ორი ძირი კამა, ანუ ქინძი დასხვიეთ ერთათ და  
შიგ ჩახდეთ, როდესაც ლობიოს მოხარშვა შეატყოთ,  
ქაფქირით ჩაჭკებეთ და ის მწვანილი ამოარჩივით და გა-  
დაყარეთ მერმე ზედ დასხსით ნახევარ გირვანქა ერბო და  
კარგათ დაშუშეთ, შემდეგ მარლით შეახელოთ და თუ  
გენებრთ ის დროს შიგ ჩატანეთ, მოხარშული მხუჭანი

მრახის ხორცი, ანუ მოტახკებული ვარია დასჭერით & ჩაწყეო, შემდეგ ამას გასთქვიფეთ ოთხი კვერცხი & იმ ლობიოს ზედ მოასხით, მაგრამ აღარ მოურიოთ ისე უნდა მოიწოს & მზათ იქნება.

მასალათ მიეცით.

ორი გირვანქა სხალი ლობიო,  
ნახევარ გირვანქა ერბო,  
ნახევარ გირვანქა მოხარშული ხორცი, ანუ ვარი

სამი თაფი ხასვი,  
ორი ძირი რეჭანი,  
ორი ძირი ქონდარი,  
ორი ძირი კამა & ქინძი,  
ოთხი კვერცხი.

ეს არის ექვსი კაციის ულუფა.

(მარხვაში ლობიოს ისევე ასე მოხარშავთ & ერბოს მა- გივრათ ერთს სტოლას კოვსს დანაყილს ნიგოზს მიხ- ტეძით).

### 58. სხალი ლობიოს ბორანი.

სხალი ლობიო ისევე ასე უნდა მოხარშოთ, როგორც ზე- მთ დაგვიწერია & როდესაც ერბოში დაშუშავთ, შე- მდეგ ვარიის ტახაკას მოწომით & აგრეთვე დაუძაღებთ გაწურულს მაწონს, მეტე დასხამთ ბლუდზედ, ლობიოს ზედ მოაწყოთ დაჭრილს ვარიის ტახაკას, მეორეთ კიდევ დასხამთ ლობიოს, რომ დაჭტაროს ვარიები & შემოდგან მოასხამთ გაწურულს მაწონს ცოტას წყალში ხქლათ გათქვიფილს & მეტე მოაყრით ორს სტოლას კო- ვსს დარიჩისს წმინდათ დანაყილს, ოთხ სტოლას კო- ვსს დანაყილ შაქარში არეულსა & მასთან მზათ უნდა გქონდეთ ნახევარ მისხალი დამბალი ზაფრანა & პანბით უნდა ზედ დაწვეთოთ.



მასალათ მიეცით:

სამი გიწვანქა ახალი ლობიო,  
 სამი ხეთუკრთი ერბო, ანუ სტაქან ნახეკარი,  
 სამი თავი სასვი, თუ დიდრონი აჩის,  
 ორი ძირი ქინძი,  
 ორი ძირი კამა,  
 ორი ძირი ქონდარი,  
 ორი ძირი რეჭანი,  
 ერთი ქოთანი მწონი,  
 ნახეკარ მისხალი ზაფრანა,  
 ორი სტოლის გოვსი დანაყილი დარჩინი,  
 ოთხი გოვსი დანაყილი შაქარი,  
 მარილი,  
 ერთი ვარია, თუ მოდიდო აჩის,  
 ეს არის ექსი კაცის ულუფა.

**59,** ისპანახის ბორანი

ისპანახი დაარჩივთ, ძირები დაატკრით და კარგათ გარე-  
 ცხეთ, ადრულეთ თავის შესატყერი ქვაბით წყალი და ის  
 ისპანახი შიგ ჩაყარეთ და მოხარშეთ, ისე როგორც მხა-  
 ლი, მერმე ქაფქირით ამოიღეთ ტახაკზედ, გააცივეთ და  
 მუჭით გასწურეთ მაგრა, შემდეგ წმინდათ დაკეპეთ ახ-  
 ტამით და ზედ დაატკრ წმინდათ მწვანელი, მარილით შე-  
 აზავეთ, მერმე წმინდათ დასტკრით ერთი გიწვანქა სახ-  
 სვი და მოხარკეთ ერთხ სტაქანს ერბოში, შემდეგ შიგ  
 ჩადეთ ის ისპანახი და კარგათ მოშუშეთ იმ ერბოში,  
 მერმე გათქვიფეთ ხუთი კვერცხი ზედ მოსხნით და აუ-  
 რიეთ, შემდეგ ვარიის ტახაკა დასტკრით და ბლუფზედ  
 ისპანახი დადეთ, მერმე ვარიები მოაწყეთ, შემოდან კი-  
 დვე დაახნით ისპანახი, რომ ვარიები დაჭყაროს, შემდეგ  
 გაწურული მწონი მოსქეთ წყალში გახსენით და მოახნით,

სემოდან მოაყარეთ დაჩინინი ღ შაქარი ერთი ანუელი  
 ისე მიართვით.—ზოგი ბორანს, კვერცხს ანცვი უხამს.  
 როდესაც ბორანი არაგუბავსთ ღ ისპანახს კვერცხით  
 რომ შეახელებთ ისე მიართმევთ. ღთუ მარსვა არის ზე-  
 თით მოხრავათ. ერბოს მაგიერ მანქანი შწვანისა ღ  
 ზეთის მეტს არას მისცემთ, ბორანსვი ამ მასალას მი-  
 სცემთ..

მასალათ მიეკით.

ერთი მომცრო კალათა ისპანახი, თუ დიდი კალათით  
 იქნება ღ მასალა მეტი მოუნდება.

ორი ძირი რეჭანი,  
 ორი ძირი ქისძი,  
 ორი ძირი ქონდაწი,  
 ერთი კოვზი მარინი  
 ერთი გირვანქა სხსვი,  
 ხახვეარ გირვანქა ერბო.

სუთი კვერცხი,  
 ერთი კოჭობი მწონი,  
 ერთი ვარია,  
 ორი სტოლის კოვზი დანაყილი დაჩინინი,  
 ოთხი სტოლის კოვზი დანაყილი შაქარი,

ეს არის ექვსი კაცი უღუფა.

60. ნაცარ-ქათამას მხალიც ასე უნდა.

61. თით-მავალას მხალიც ასე უნდა.

62. ბოლოკას მხალიც ასე უნდა. ერთის სიტყვით  
 მხალი ყოველთვე ამ რიგათ უნდა გააკეთოთ,  
 ხსნილში ერბო-კვერცხით, და მარხვამი  
 ზეთით.

**63.** ქართული ბადრიჯნის ბორანი.

მოიდეთ ორმოცი გრძელა ბადრიჯანი ღ სიგრძე-

ზედ გაფრცქვენით, დათაღეთ სიგრძეზედვე თხლათ, როდესაც სულ დათაღეთ ძაყარეთ ძარილი, რწი სტოლის გოკნი ჭ დადგით ისე სუთს მინუტს, შემდეგ მუჭით ძაგრათ გაწურეთ, რამ წყალი აღარ შეჭყვეს, მერმე დასტყრით ალყათ ერთი ჯამი სხსვი ჭ ხაყარეთ ტაფაში რწივე ერთათ, ზედ დაასხით ერთი სტაქანი ერბო ჭ მოხრჩაკეთ, მალ-მალ ვი მოურეთ, რამ შეატყეთ, რამ ერბო შეიშრო ჭ კიდევ მოხრჩაკვა აკლია ბადრიჯანსა, ერთი სტაქანი ერბო კიდევ მიუმატეთ, როდესაც კარგათ მოხრჩაკოს გადმოიღეთ ჭ წმინდათ დაჭრილი ზიტნა, ქინძი ჭ რეჭანი, ერთი სტაქანი ზედ მოაყარეთ ჭ აურიეთ რაც მკრე ერბო ზედ ედგეს, ის ცალკე გადაწურეთ ჭ ის ბადრიჯანი დაასხით ბლუდზედ, მერმე მოაწუეთ კარჩის ტაბაკა ასო-ასოთ დაჭრილი, ზედ კიდევ ბადრიჯანი დაასხით, რამ ის კარჩა დაჭყაროს შემდეგ მოასხით გაწურული ძაწონი გათქვეფილი მოსქოთ, მერმე მოაყარეთ რწი სტოლის გოკნი დანაყილი დარჩინი, არეული რთს სტოლის გოკნს დაფქულს შაქარიში; აგრეთვე ნსევარი მისხალი ზაფრანა მზათა გქონდეთ დამბალი ჭ მასინ ბამბით დაწვეთეთ როგორც ახალი ღობოს ბორანს ჭ ასე მიართვით.

მასალათ მიეცით:

რწიმოცი ქართული ბადრიჯანი,  
 ერთი ჯამი დაჭრილი სხსვი,  
 ერთი კარჩა, თუ დიდი არის ჭ მომცრო ვი რწი,  
 ერთი გოჭოზი ძაწონი,  
 ერთი გირვანქა ერბო,  
 რწი სტოლის გოკნი დარჩინი,  
 რთსი სტოლის გოკნი დანაყილი შაქარი,  
 რწი გოკნი ძარილი.

64. ქართული ბადრიჯანი, ყოველთვის ასე უნდა

მოხსრავოს, როგორც ზემოთ ბოწნისთვის ვუწერია & ისეც მიაწოდებთ ვისაც მაწვინით არ უნდა.—აკრეთვე მარხვაში მოხსრავათ, ერბოს მაგივრათ ზეთში & თუ უსურთ მუკესაც დაასხამთ რასმე ზეთიანს.

მარხვაში მასალათ მიეცით:

ორმეტრი ბადრიჯანი,  
სტაქან-ნახევარი ზეთი,  
ნახევარი კონა შიტნა,  
ქინძი & რეჭანი ოთხი ძირი,  
მარლილი ორი კოვზი.

### 65. კომპის ტოღმა.

თუ დიდი კომში არის რვა კომში & თუ წვრილი კომშია თორმეტი, დასჭერით მრგვალათ, ნაჭერ-ნაჭერ, გული კი ამოცალეთ & ჩაყარეთ ტაფაში, ზედ დაასხით ერთი სტაქანი წყალი & ორი სტაქანი ერბო & მოშუშეთ, როდესაც წვენი სულ დაიშრის, ერთი გირვანქა დაჩეუული & გარეცხილი ქიშმიში, ნახევარი გირვანქა დაფცქვნილი ნუში შიგ ჩაყარეთ & ზედ დაასხით ერთი გირვანქა კარგი თაფლი, ანუ ორი სტაქანი დანაყილი შაქარი & მოშუშეთ, მანამ კარგათ დაწითლდეს, ერთი ჩაის კოვზი მარლილიც მიეცით, მერმე ბლუდზედ დაასხით, გააციუეთ & ისე მიაწვით.

მასალათ მიეცით:

რვა დიდი კომში & წვრილი კი თორმეტი,  
ორი სტაქანი ერბო,  
ერთი გირვანქა თაფლი, ანუ ორი სტაქანი შაქარი,  
ერთი გირვანქა ქიშმიში,  
ნახევარი გირვანქა ნუში,  
ერთი ჩაის კოვზი მარლილი.

# ფლავის გაკეთება სსვა ზ სსვა რიკათ.

66. ფლავი ყაურმით.

სამი გირვანქა ბრინჯი კარგათ დააწნივეთ და გარეცხეთ, მანამ სულ წმინდა წყალზედ დადგეს, შემდეგ შემოდგით იმოდელა ქვებით წყალი, რომ ის ბრინჯი შიგ სალვათათ მოხსარშოს, ჯერ წყალი აადუღეთ, ნატყნი მარლი ჩადეთ ზ მარლ-წყალი კილოთ შეასავეთ, მერმე გემოთ გასინჯეთ, უფრო ძლასეთ უნდა იყოს ის წყალი.— შემდგომ ის გარეცხილი ბრინჯი შიგ ჩაყარეთ ზ როდესაც სამი პირი წამოიდუღოს, ქათქირით ბრინჯი ამოიღეთ ზ სელით გზრისეთ, მოხარშული, ისე უნდა იყოს ბრინჯის მარცვალი, რომ გულში შიგნით კიდევ წიწილი ქონდეს ზ არ იყოს ძალიან მოხარშული, როდესაც ასე ზომიერობა შეატყუოთ, გადმოიღეთ ზ ერთიან თუშფალანგში მოაპირქვეკეთ ზ ზედ სსვას კისმე თან ცივი წყალი დაასხებენეთ, რომ გაცვიდეს; შემდეგ, ნასკვარი გირვანქა ეწბო იმავე ფლავის ქვებში ჩადეთ და გააცხელეთ, მერმე გათქვიფეთ ოთხი, ან სუთი კვერცხი და აიღეთ იმ ბრინჯიდან, რასაც ის კვერცხი დაასველებს, იმოდენი, აურით და შემდეგ იმ ქვების ძირს მოასხიოთ ხლათ ზ ის გაწურული ბრინჯი დააყარეთ ზეიდგან ზ მოაგრეთ შეა გულას აგონფლეთ, თავი აუკოკოლავეთ ზ შემოდგით ზედადგარზედ, ცარიელი ნაკვერჩხალია უნდა ეკეთოს ქვამ, რომ ცხარე ცეცხლმა ყაზანდები არ დასწოს, ქვებს ზედ იმოდენი სინი დააფარეთ, რომ რამტოლიც ქვების ნაპირი არის სინიც იქამდის ედგეს, მერმე დაასველეთ ტილო ცივს წყალში გაწურეთ ცოტათ ზ ქვებსა ზ სინს ნაპირს შემოასვიეთ, რომ ორთქლი გარეთ არ გამოუშოს ზ დამი მოუვიდეს ფლავსა; სუთს მინუტს დასცალეთ ზ შემდეგ ახადეთ სინი ზ ორთქლი გადმოწურეთ, ახლა კიდევ ხელმეორეთ ისევ ისე შემოა-

*Pravim Dzakem*

სვიკეთ ტილთ, დაცალეთ ხუთს მინუტს და ორთქლი კიდევ გადმოწურეთ სინიდან; მრავალჯერ ასე მოხდით დამს, მანამ შეატყუოთ, რომ ბრინჯის ძარცვალის გაფუკდა და მოვიდა დამში. მერმე ნახევარი სტაქანი ერბო კიდევ დაასხით ზედ, რომ ძირი არ დაქონს.

ყაურმა ასე დაუმზადეთ ფლავის: ამ ბრინჯისათვის, ერთი გირვანქა ცხვრისა, გინა ბატკნის ხორცი, წვრილად დასტკრით და ჩაყარეთ ტაფაში, ზედ სპიხი ხტოლის კოკი-ზი ერბო დაასხით და ერთი გირვანქა ალყათ დაჭრილი ხასვი ჩაყარეთ და ერთად მოხრავეთ, მანამ სულ დაწითლდეს, შემდეგ ის დამში მოყვანილი ფლავი, რომ დაასხათ ბლუდზედ, მერმე ეს ყაურმა დაასხით და ზემოდან კიდევ ბრინჯით დაჭტარეთ ყაურმა და ცალკე სხვა ერბო გააცხელეთ და იმ დროს ბლუდზედ მოასხით ზეიდგან, შემდეგ ის ფლავის ძირში რომ ყაზანდები აქვს, ქათქიროთ აძრეთ, ფლავს ბლუდზედ მოუწყეთ და ისე მიართვით.

მასალათ მიეცით: ცხრა კაცი სათვის

- სპიხი გირვანქა ბრინჯი,
- გირვანქა ხასევარი ერბო,
- ხუთი კვერცხი,
- ერთი გირვანქა ხორცი,

67. ფლავი ბატკან ჩატანებულო, ანუ ხოხობ ჩატანებულო

ბრინჯი ყოველთვის ისე უნდა მოხარშოს, როგორც ზემოთა სწერია და თუ ბატკნის ჩატანება გინდათ, ან ხოხობისა, ჯერ შესწომთ, მერმე ასო-ასოთ დასტკრით და ბრინჯს, როდესაც დამისათვის ჩატყურით მოხარშულს, მასინ იმ ხოხობსაც შიგ ჩატანთ შუაშია, თუ კენებებათ და მოხარშულს ქათამს ჩატანთ და როდესაც დამი მოუვა, როგორც ზემოთა სწერია, ერბოსაც იმ გვარათ უზამთ.

მასალათ მიეცით:

ერბო ისეკ ისე, როგორც ზემოთა ჭსწეკია,  
ღ ხოსობი, ანუ ბატკანი,

### 68. მუთანჯის ფლავი.

ბრინჯს, როგორც ყაურმის ფლავი დაგვიწერია, ისე მოხარშავთ ღ მუთანჯის ამ რიგათ გაუკეთებთ: ნახევარი გირვანქა ქიშმიში დაარჩივეთ ღ გარეცხეთ, ნახევარი გირვანქა ნუში დაფტქვენით ღ შუა დააბეთ ერთი ჩეთ+ ვერთი შავი ქლიავი, ერთი ჩეთვერთი ზირიშკი, ერთი ალუბლის ჩურჩა, თუ ალჯანაბადი ღ ჭანჭურვი იქნება უკეთესი არის; ესენი რომ დაარჩიოთ ღ გარეცხოთ ჩაყარეთ ტაფაში ღ ზედ დასხით ნახევარი გირვანქა ერბო, ისე მოშუშეთ ერბო, რომ შეიშროს, შემდეგ დასხით ნახევარი გირვანქა თაფლი, ანუ სტაქან ნახევარი დანაყილი შაქარი ღ ისე მოშუშეთ, რომ დაწითლდეს გადმოდგით ღ შეინახეთ, როდესაც ბრინჯი დამში მოიყვანოთ ღ ბლუდზედ დასხით ამ ნუშ-ქიშმიშსაც ზემოდან დააყრით ღ მერმე ცხელს ერბოს მოასხამთ ღ მიაერთებთ.

მასალათ მიეცით:

სამი გირვანქა ბრინჯი,  
გირვანქა ნახევარი ერბო,  
ნახევარი გირვანქა ქიშმიში,  
ნახევარი გირვანქა ნუში,  
ერთი ჩეთვერთი შავი ქლიავი,  
ერთი ჩეთვერთი ზირიშკი,  
ერთი ჩეთვერთი ალუბლის ჩურჩა,  
ერთი ჩეთვერთი ალჯანაბადი,  
ერთი ჩეთვერთი ჭანჭური,  
ნახევარი გირვანქა თაფლი ანუ სტაქან ნახევარი  
შაქარი დაფქული,

(ამ მასალათაგანი თუნდა აკლდეს, თათლსა და ერბოს  
გარდა, მაგითი არა უშავს რა).

### 69. ალუბლის ფლავი.

ბრინჯი წოგორც შემოთ დაგვიწერია ისევე ისე  
უნდა გააკეთოთ ჭ ალუბალი კი ამრიგათ უნდა დაუმზა-  
დოთ: ალუბალი დახუროთ, ერბოსა და შაქარში მოშუ-  
შეთ, წოგორათაც ნუშ-ქიშიში ჭ წოდესაც ბლუდზედ  
ფლავი დასხათ ეს დამზადებული ალუბლის ჩურონაც ზედ  
მოაყარეთ. შინდიც აგრეთვე უნდა დახუროთ ჭ გააკე-  
თოთ, წოდესაც გნებავდეთ.

### 70. გოგრის ფლავი.

ერთ-ნაირი რსმაღური გოგრა რომ არის იმას  
ფლავის გოგრას ვეძახით, იმ გოგრას გაფუქვანით, დასთ-  
ლით თხლათ ჭ ბრინჯს დამისათვის რომ დაჭნდგამთ,  
იმ დათლილს გოგრასაც თან შუაში ჩაატანთ, შიგ გა-  
შირშრება და ისე გაკეთებული ფლავი ჩინებული გემო-  
სებისა არის.

მასალათ მიეცით:

ისევე ის ერბო ჭ ბრინჯი, რაც შემოთ დაგვიწე-  
რია, ჭ ერთი მთელი გოგრა.

რძის ფლავი, ქაში და კორკოტი.

### 71. რძის ფლავი.

ნახევარი თუნგი რძე აადულოთ, ერთი გირვანქა  
ბრინჯი კარგათ გაჭეცეთ ჭ შიგ ჩაყარეთ, სარძეთ  
წენარა, მანამ ბრინჯი ისე მოიხარშება, რომ ხუდ ჩაიშ-  
